

ჯვარცმები იტალიის სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში. სასამართლომ არ დაადგინა დარღვევის ფაქტი

**პრეს-რელიზი მომზადებულია ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს სამდივნოს მიერ**

წინამდებარე პრეს-რელიზი წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს არაოფიციალურ
ქართულენოვან თარგმანს. ინგლისურ ენაზე ის ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე:
http://www.echr.coe.int/echr/resources/hudoc/Lautsi_pr_eng.pdf

№ 234
18.03.2011

დიდი პალატის დღევანდელი, საბოლოო¹ გადაწყვეტილებით საქმეზე ლუცი და სხვები
იტალიის წინააღმდეგ (განაცხადი № 30814/06), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასა-
მართლომ ხმათა უმრავლესობით მიიჩნია (15 ხმა 2 წინააღმდეგ), რომ:

არ დარღვეულა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის № 1 ოქმის მე-2
მუხლი (განათლების უფლება).

საქმე ეხებოდა ჯვარცმების განთავსებას იტალიის სახელმწიფო სკოლების საკლასო
ოთახებში. განმცხადებელთა მიხედვით, აღნიშნული არ შეესაბამებოდა სახელმწიფოს ვალ-
დებულებას განათლებასთან მიმართებაში და სწავლების ფუნქციის განხორციელებისას პა-
ტივი სცენ მშობლების უფლებას, უზრუნველყონ ისეთი განათლება და სწავლება თავიანთი
შვილებისთვის, რაც შეესაბამება მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს.

მოცემული პრეს-რელიზი ხელმისაწვდომია ფრანგულ, იტალიურ და გერმანულ ენებზე.

¹ დიდი პალატის გადაწყვეტილებები საბოლოოა (კონვენციის მუხლი 44).
ყველა საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მათ აღსრულებაზე ზედამხედვე-
ლობისათვის. დამატებითი ინფორმაცია აღსრულების პროცესის შესახებ იხ.: www.coe.int/t/dghl/monitoring/execution

მთავარი შედეგები

განმცხადებლები არიან იტალიის მოქალაქეები, დაბადებულნი 1957, 1988 და 1990 წლებში, შესაბამისად, პირველი განმცხადებელი, სოილე ლუცი (Soile Lautsi) და მისი ვაჟები, დატაიკო და სამი ალბერტინი² ცხოვრობენ იტალიაში. 2001-2002 სასწავლო წელს დატაიკო და სამი ალბერტინი სწავლობდნენ “ინსტიტუტე კომპრენსივო სტატალე ვიტტორინო დე ფელტრეს” (Istituto comprensivo statale Vittorino da Feltré) სახელმწიფო სკოლაში აბანო ტერმე (Abano Terme). ჯვარცმები ეკიდა სკოლის ყველა საკლასო ოთახის კედელზე.

2002 წლის 22 აპრილს, სკოლის მმართველების შეხვედრაზე ქ-ნი ლუცის ქმარმა დააყენა საკითხი რელიგიური სიმბოლოების არსებობის შესახებ საკლასო ოთახებში, განსაკუთრებით შეეხო ჯვარცმების საკითხს და იკითხა, თუ იქნებოდა შესაძლებელი მათი მოხსნა. სკოლის ხელმძღვანელების გადაწყვეტილების შედეგად, შეენარჩუნებინათ რელიგიური სიმბოლოები საკლასო ოთახებში, ქ-ნმა ლუციმ აღძრა საქმე ვენეტოს (Veneto) ადმინისტრაციულ სასამართლოში 2002 წლის 22 ივლისს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავდა სარჩელს სეკულარიზმის პრინციპის დარღვევის შესახებ.

2003 წლის 30 ოქტომბერს განათლების, უნივერსიტეტებისა და კვლევის მინისტრი, რომელმაც 2002 წლის ოქტომბერში მიიღო დირექტივა, რომელიც ავალდებულებდა სკოლის ხელმძღვანელებს საკლასო ოთახებში ჯვარცმის გამოსახულების განთავსებას, გამოეხმაურა ქ-ნი ლუცის მიერ აღძრულ საქმეს. მინისტრის მტკიცებით, ქ-ნი ლუცის სარჩელი იყო უსაფუძვლო, რადგან სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმების არსებობა ემყარებოდა ორ 1924 და 1928 წლების სამეფო დეკრეტს³.

2004 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ საკითხი, რომელიც ეხებოდა კონსტიტუციასთან შესაბამისობას და რომელიც მას გადაეცა ადმინისტრაციული სასამართლოსგან, აშკარად დაუშვებელი იყო. დაუშვებლად გამოცხადების საფუძველი მდგომარეობდა იმაში, რომ სარჩელი ეხებოდა ორი სამეფო დეკრეტის შესაბამის დებულებებს, რომელთაც არ გააჩნდათ კანონის სტატუსი, ისინი მხოლოდ რეგულაციებს წარმოადგენდნენ. ამდენად დაუშვებელი იყო მათი განხილვა კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

2005 წლის 17 მარტს ადმინისტრაციულმა სასამართლომ შეწყვიტა ქ-ნი ლუცის სარჩელთან დაკავშირებული საქმის განხილვა. სასამართლომ დაადგინა, რომ სამეფო დეკრეტების დებულებები ჯერ კიდევ ძალაში იყო და რომ ჯვარცმების არსებობა სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში არ ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს სეკულარულ ბუნებას,

² „მეორე და მესამე განმცხადებელი“: პირველი განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ის მოქმედებდა საკუთარი სახელით და მისი არასრულწლოვანი შვილების დატაიკოს და სამი ალბერტინის ინტერესების დასაცავად. მათ საქმის მსვლელობისას სრულწლოვანების ასაკს მიაღწიეს, და დაადასტურეს, რომ მათ სურდათ განმცხადებლად დარჩენილიყვნენ.

³ 1924 წლის 30 აპრილის № 965 სამეფო დეკრეტი, მუხლი 118 (საშუალო სკოლების შიდა რეგულაციები) და 1928 წლის 26 აპრილის № 1297 სამეფო დეკრეტი, მუხლი 119 (დაწყებითი განათლების ხელმძღვანელობის ზოგადი რეგულაციების დამტკიცება).

რაც “ევროპის და დასავლეთის სახელმწიფოების სამართლებრივი მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენდა”. კერძოდ, სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ ჯვარცმა წარმოადგენდა არა მხოლოდ კათოლიციზმის არამედ ზოგადად ქრისტიანობის სიმბოლოს, ამგვარად, ამ სიმბოლოს სხვა რწმენებიც იზიარებდნენ. ჯვარცმა ისტორიული და კულტურული სიმბოლო გახლდათ, რომელსაც გააჩნდა “იდენტობასთან დაკავშირებული ღირებულება” იტალიელი ხალხისთვის და რომ ის უნდა ყოფილიყო განხილული როგორც იმ ღირებულებათა სისტემის სიმბოლო, რომელსაც იტალიის კონსტიტუცია ეფუძნებოდა.

ქ-მა ლუციმ მიმართა სახელმწიფო საბჭოს (Consiglio di Stato), რომელმაც 2006 წლის 13 აპრილს დაადასტურა, რომ სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმების არსებობის კანონიერ საფუძველს წარმოადგენდა 1924 და 1928 წლების სამეფო დეკრეტები და თუ ყურადღება გამახვილდებოდა ჯვარცმის მნიშვნელობაზე მისი გამოყენება შეესაბამებოდა სეკულარიზმის პრინციპს. რამდენადაც ის აღნიშნავდა იტალიის ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ სამოქალაქო ღირებულებებს – ტოლერანტულობას, ადამიანის უფლებათა აღიარებას, ადამიანის მორალური სინდისის ავტონომიურობას ხელისუფლების ორგანოსთან მიმართებაში, ადამიანურ სოლიდარობას და დისკრიმინაციის ყველა ფორმის უარყოფას – “სეკულარული” თვალთახედვით, ჯვარცმას საკლასო ოთახებში შესაძლოა ჰქონოდა განსაკუთრებული საგანმანათლებლო ფუნქცია.

მოთხოვნები, პროცედურა და სასამართლოს შემაჯავნელობა

№1 ოქმის მე-2 (განათლების უფლება) და მე-9 მუხლზე (აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება) დაყრდნობით, განმცხადებლებმა სარჩელი შეიტანეს სახელმწიფო სკოლის საკლასო ოთახებში ჯვარცმების არსებობის თაობაზე, სადაც სწავლობდნენ დატაიკო და სამი ალბერტინი.

მე-14 მუხლზე (დისკრიმინაციის აკრძალვა) დაყრდნობით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვინაიდან არ იყვნენ კათოლიკეები, მათ განიცადეს დისკრიმინაცია კათოლიკე მოსწავლეებთან და მათ შვილებთან შედარებით.

განაცხადი შეტანილ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2006 წლის 27 ივლისს. 2009 წლის 3 ნოემბერს მიღებული პალატის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა №1 ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევას, აგრეთვე მე-9 მუხლის (აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება) დარღვევას. 2010 წლის 28 იანვარს იტალიის მთავრობამ საქმის გადაცემა მოითხოვა დიდი პალატისათვის კონვენციის 43-ე მუხლის თანახმად (გადაცემა დიდი პალატისათვის), ხოლო 2010 წლის 1 მარტს დიდი პალატის შემადგენლობამ დააკმაყოფილა მოთხოვნა. დიდი პალატის საქმის მოსმენა შედგა 2010 წლის 30 ივნისს სტრასბურგში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 44.2 წესის თანახმად, წერილობით პროცედურაში⁴ ჩართვის უფლება მიეცათ:

- 1) ევროპის პარლამენტის 33 წევრს, რომლებიც მოქმედებდნენ კოლექტიურად;
- 2) შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებს: Greek Helsinki Monitor⁵, Associazione nazionale del libero Pensiero, იურისტების საერთაშორისო კომიტეტს, ადამიანის უფლებათა დაცვის მეთვალყურეობის ოფიცრებს, რომლებიც მოქმედებენ კოლექტიურ საფუძველზე, Zentralkomitee der deutschen Katholiken: Semaines sociales de France და Associazioni cristiane lavoratori italiani;
- 3) სომხეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, რუსეთის ფედერაციის, საბერძნეთის, ლიტვის, მალტის, მონაკოს, რუმინეთის და სან მარინოს რესპუბლიკის მთავრობებს.

სომხეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, რუსეთის ფედერაციის, საბერძნეთის, ლიტვის, მალტის, მონაკოს, რუმინეთის და სან მარინოს რესპუბლიკის მთავრობებს ასევე მიეცათ ზეპირ პროცედურაში კოლექტიური ინტერვენციის უფლება.

დიდი პალატა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, შედგებოდა 17 მოსამართლისგან:

ჟან-პოლ კოსტა Jean-Paul Costa (საფრანგეთი), პრეზიდენტი,
ქრისტოს როზაკის Christos Rozakis (საბერძნეთი),
ნიკოლას ბრატა Nicolas Bratza (გაერთიანებული სამეფო),
ფირ ლორენცენ Peer Lorenzen (დანია),
ჯოზეფ კასადევალ Josep Casadevall (ანდორა),
ჯოვანი ბონელო Giovanni Bonello (მალტა),
ნინა ვაჯიც Nina Vajic (ხორვატია),
რაით მარუსტე Rait Maruste (ესტონეთი),
ანატოლი კოვლერ Anatoly Kovler (რუსეთი),
სვერე ერიკ ჯებენს Sverre Erik Jebens (ნორვეგია),
პაივი ჰირველა Paivi Hirvela (ფინეთი),
ჯორჯია მალინვერნი Giorgia Malinverni (შვეიცარია),
ჯორჯ ნიკოლაუ George Nicolaou (კვიპროსი),
ენ ფაუერი Ann Power (ირლანდია),
ზდრავკა კალაიჯიევა Zdravka Kalaydjieva (ბულგარეთი),
მიჰაი პოალელუნგი Mihai Poalelungi (მოლდოვა),
გუიდო რაიმონდი Guido Raimondi (იტალია), მოსამართლეები,
და აგრეთვე ერიკ ფრიბერგი, მდივანი.

⁴ მესამე მხარეთა – დამკვირვებლების მოსაზრებები: იხ. გადაწყვეტილება §§ 47 – 56

⁵ ისინი ჩართულები იყვნენ პალატის განხილვაშიც.

სასამართლოს გადაწყვეტილება

№1 პროტოკოლი მუხლი 2

სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ვალდებულება, პატივი სცენ მშობლების რელიგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს, არ მოიცავს მხოლოდ სწავლების შინაარსს და მისი მიწოდების გზას, ის უკავშირდება განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებულ ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებას. ეს მოიცავს სკოლის გარემოს მოწყობას, როდესაც შიდა კანონმდებლობა ასეთ ფუნქციას საჯარო უფლებამოსილ პირებს/ორგანოებს ანიჭებს. გადაწყვეტილება ჯვარცმების არსებობის თაობაზე, სახელმწიფო სკოლის საკლასო ოთახებში წარმოადგენდა იტალიის სახელმწიფოს მიერ მიღებული ფუნქციების ნაწილს და, შესაბამისად, ექცეოდა №1 პროტოკოლის მე-2 მუხლის რეგულირების ფარგლებში. მითითებული დებულება სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით მათი ფუნქციების შესრულებისას, პატივი სცეს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ მათი შვილების განათლება და სწავლება მათი რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებების შესაბამისად.

სასამართლოს განსაზღვრებით, მიუხედავად იმისა, რომ ჯვარცმა წარმოადგენდა რელიგიურ სიმბოლოს, სასამართლოს წინაშე არ ყოფილა წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულება, რაც დაამტკიცებდა ჯვარცმის გავლენას მოსწავლეებზე. თუმცადა გასაგები შეიძლება იყოს ის, რომ მოსარჩელე აღიქვამდა ჯვარცმას სკოლის კედლებზე, სადაც წინათ სწავლობდნენ მისი შვილები, როგორც სახელმწიფოს მხრიდან უპატივცემულობის გამოვლენას მისი უფლების მიმართ აღეზარდა შვილები საკუთარი ფილოსოფიური და რელიგიური შეხედულებების შესაბამისად. აღნიშნული მოსარჩელის სუბიექტური ხედვა არ არის საკმარისი საფუძველი №1 ოქმის მე-2 მუხლის დარღვევის დასადგენად.

იტალიის მთავრობამ დაადასტურა, რომ ჯვარცმების არსებობა სახელმწიფო სკოლის საკლასო ოთახებში ამჟამად შეესაბამება ტრადიციას, რომელსაც ის მიიჩნევს მნიშვნელოვნად და იცავს. გარდა მისი რელიგიური მნიშვნელობისა, ჯვარცმა წარმოადგენს პრინციპებისა და ღირებულებების სიმბოლოს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიასა და დასავლეთის ცივილიზაციებს, და რომ ჯვარცმის არსებობა საკლასო ოთახებში გამართლებულია სწორედ ამ თვალსაზრისით. პირველ საკითხთან მიმართებაში სასამართლომ დაადგინა, რომ პრინციპის დონეზე გადაწყვეტილება იმის შესახებ, ტრადიციას შეინარჩუნებდნენ თუ არა, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების შეფასების თავისუფლების სფეროში ხვდებოდა, თუმცადა, ტრადიციაზე დაყრდნობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებებისგან პატივი სცეს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. მეორე საკითხთან მიმართებაში, სასამართლომ მიიჩნია რომ თუმცა სახელმწიფო საბჭოსა (Consiglio di Stato) და საკასაციო სასამართლოს განსხვავებული შეხედულებები გააჩნდათ ჯვარცმის მნიშვნელობაზე და საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხთან მიმართებაში არანაირი გადაწყვეტილება არ მიიღო, ევროპის სასამართლოს არ ევალებოდა შიდა სასამართლოებს შორის არსებულ დებატებზე ჰქონოდა რაიმე განსაზღვრული პოზიცია.

ფაქტია, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ შეფასების თავისუფლება, როდესაც განათლებისა და სწავლების სფეროში საკუთარი ფუნქციების შესრულებას უთავსებენ მშობლების უფლების პატივისცემას მათი რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის შესაბამისი განათლება მისცენ შვილებს. შესაბამისად, სასამართლო პრინციპულად ვალდებულია პატივი სცეს სახელმწიფოების გადაწყვეტილებებს მოცემულ საკითხებზე, იმის ჩათვლით, თუ რა ადგილს მიანიჭებენ ისინი რელიგიას და იმ პირობით, რომ ასეთი გადაწყვეტილებები არ წარმოადგენს ინდოქტრინაციის ფორმას. შესაბამისად, გადაწყვეტილება იმის თაობაზე, უნდა ყოფილიყო თუ არა ჯვარცმა წარმოდგენილი საკლასო ოთახში, პრინციპულად, წარმოადგენს სახელმწიფოს დისკრეციის საგანს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ არსებობს თანხმობა ამ საკითხზე ევროპის სახელმწიფოებს შორის⁶. შეფასების ასეთი თავისუფლება თანაარსებობს სასამართლოს მხრიდან ზედამხედველობასთან, რომლის მიზანს წარმოადგენდა, დარწმუნებულიყო, რომ არჩევანი არ იღებდა ინდოქტრინაციის ფორმას.

ზემოაღნიშნულთან მიმართებაში ნათელია, რომ სახელმწიფო სკოლის საკლასო ოთახებში ჯვარცმების განთავსებით, იტალიის ნორმატიული დოკუმენტები ქვეყნის უმრავლესობის რელიგიის სიმბოლოების გაძლიერებულ აღქმადობას უჭერს მხარს სკოლის გარემოში. ამ თვალსაზრისით, მართო ასეთი აღქმადობა არ არის საკმარისი იტალიის მხრიდან ინდოქტრინაციის პროცესის აღსანიშნავად და №1 ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის დადგენისათვის. სასამართლო ამასთან დაკავშირებით ეყრდნობა მის ადრინდელ პრეცედენტს, როდესაც დადგინდა⁷, რომ ერთი რელიგიის მომეტებული გავლენის გათვალისწინებით ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე ის ფაქტი, რომ სკოლის საგნების ჩამონათვალში მას უპირატესი მდგომარეობა აქვს სხვა რელიგიებთან შედარებით, არ ჩაითვლება ინდოქტრინაციის პროცესად. ჯვარცმა კედელზე წარმოადგენდა არსებითად პასიურ სიმბოლოს, რომლის გავლენა მოსწავლეებზე არ უთანაბრდებოდა დიდაქტიკურ შეგონებას ან რელიგიურ საქმიანობებში მონაწილეობის მიღებას.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ გაძლიერებული აღქმადობის ეფექტები, რასაც სკოლებში ჯვარცმის არსებობა ანიჭებდა ქრისტიანობას, საჭიროებდა მათ შეფასებას შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: ჯვარცმა არ ასოცირდებოდა ქრისტიანობის სავალდებულო შესწავლასთან. ხელისუფლების თქმით, იტალიის სკოლები ღია გარემოს სთავაზობს სხვა რელიგიებს (მოსწავლეებს შეუძლიათ სხვა რელიგიების სიმბოლოების ან რელიგიური დატვირთვის ტანსაცმლის ტარება; ხდება უმცირესობების რელიგიური პრაქტიკების გათვალისწინება; არჩევითი რელიგიური განათლება უზრუნველყოფილია სკოლებში ყველა აღიარებული რელიგიის მიმდევართათვის; რამადანის დასასრული ხშირად აღინიშნება სკოლებში და ა.შ.). აგრეთვე აღინიშნა, რომ არ არსებობდა იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ უფლებამოსილი პირები არატოლერანტულად ეპყრობოდნენ სხვა რელიგიის წარმომადგენელ მოსწავლეებს, არამორწმუნეებს ან იმათ, ვისაც გააჩნდა არა-რელიგიური ფილოსოფიური შეხედულებანი. გარდა ამისა, განმცხადებლები არ ამტკიცებდნენ, რომ ჯვარცმის არსე-

⁶ §§ 26-28 გადაწყვეტილება.
⁷ Folgero და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ, 2007 წლის 29 ივნისის დიდი პალატის გადაწყვეტილება, Hasan და Eylem Zengin თურქეთის წინააღმდეგ, 2007 წლის 9 ოქტომბერი.

ბობა საკლასო ოთახებში პროვოცირებას ახდენდა სწავლების პროზელიტური ტენდენციით ან იმას, რომ დატაიკოს და სამი ალბერტინის მასწავლებელს ჰქონდა მცდელობა, ოდესმე ტენდენციური დამოკიდებულება ჩამოეყალიბებინა ჯვარცმის მიმართ. დაბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ-მა ლუციმ სრულად შეინარჩუნა საკუთარი, როგორც მშობლის უფლება, შვილები აღეზარდა, მიეცა მათთვის რჩევები და დაეყენებინა საკუთარი ფილოსოფიური მოსაზრებების გზაზე.

სასამართლომ დაასკვნა, რომ მიღებული გადაწყვეტილებით, შეენარჩუნებინათ ჯვარცმე-ბი სახელმწიფო სკოლის საკლასო ოთახებში, რომელშიც დადიოდნენ ქ-ნი ლუცის შვილები, უფლებამოსილმა პირებმა იმოქმედეს შეფასების თავისუფლების ფარგლებში. ეს შეფასების თავისუფლება რჩება იტალიის სახელმწიფოს იმ მოვალეობის კონტექსტში, რომ განათლება და სწავლებასთან დაკავშირებული ფუნქციების განხორციელებისას მან პატივი უნდა სცეს მშობლების უფლებას მისცენ თავიანთ შვილებს ისეთი განათლება და სწავლება, რაც შეესაბამება მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ რწმენებს. შესაბამისად, არ მოხდა №1 ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა პირველი მოსარჩელის მიმართ. სასამართლომ დამატებით მიიჩნია, რომ არავითარი დამატებითი საკითხი არ აღიძვრებოდა მე-9 მუხლის საფუძველზე.

სასამართლო დამატებით მივიდა იგივე დასკვნაზე მეორე და მესამე მოსარჩელეებთან მიმართებაში.

მუხლი 14

პალატის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაასკვნა, რომ, ვინაიდან ადგილი არ ჰქონდა №1 პროტოკოლის მე-2 მუხლის დარღვევას და აგრეთვე კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას, შესაბამისად, არ არსებობდა მიზეზი, საქმე განხილულიყო 14-ე მუხლის მიმართ.

იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის მე-14 მუხლი არ არის დამოუკიდებელი რადგან ის მოქმედებს მხოლოდ იმ არსებითი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან მიმართებაში, რასაც იცავს კონვენციის დებულებები და მისი ოქმები, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ საქმის წარმოება იმის დაშვების თაობაზე, რომ მოსარჩელებს სურდათ გაესაჩივრებინათ მათი დისკრიმინაცია კონვენციის მე-9 მუხლთან და №1 ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით, უსაფუძვლო იქნებოდა, რადგან განაცხადში არ არსებობდა რაიმე საკითხი, რომელიც განსხვავდებოდა №1 ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე უკვე დადგენილი საკითხებისაგან. შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის მოცემული ნაწილის განხილვის საფუძველი.

განსხვავებული მოსაზრებები

მოსამართლეებმა ბონელლომ, პოვერმა და როზაკისმა (Bonello, Power, Rozakis) – ყველა მათგანმა გამოთქვა ერთი და იგივე მოსაზრება. მოსამართლე მალინვერნიმ (Malinverni) გამოთქვა განსხვავებული აზრი, რომელსაც დაეთანხმა მოსამართლე კალაიჯიევა (Kalaydjieva). ეს მოსაზრებები დანართის სახით ახლავს გადაწყვეტილებას.

გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ინგლისურად და ფრანგულად სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაარსდა სტრასბურგში ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ 1959 წელს, 1950 წლის ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის დარღვევის საქმეების განსახილველად.